ხელშეკრულება N 10-338

ქ. თბილისი 17 აგვისტო 2017 წელი

შპს „თბილსერვის ჯგუფი“, მისი დირექტორის ლევან ჯღარკავას სახით, (შემდგომში “შემსყიდველი”) ერთის მხრივ და შპს „ორიენტი“, მისი დირექტორის მინდობილი პირის მარიტა გუმბერიძის სახით (შემდგომში “მიმწოდებელი”) მეორეს მხრივ, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესი“-ს მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია შპს “თბილსერვის ჯგუფი”-სათვის დანართი N1-ით განსაზღვრული ხის ძირის მომჭრელის სათადარიგო ნაწილების შეძენა. (CPV კოდი 16800000).

2. ხელშეკრულების ღირებულება

22.1. შესასყიდი ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში;

2.2. შესასყიდი საქონლის ღირებულება (ხელშეკრულების ფასი) განისაზღვრება 4341 (ოთხი ათას სამას ორმოცდაერთი) ლარის ოდენობით.

2.3 მისაწოდებელი საქონლის სრული დასახელება და ერთეულის ღირებულება მოცემულია ხელშეკრულების დანართი N 1-ში;

3. შესასყიდი ობიექტის ხარისხი

3.1 მიმწოდებელი პასუხისმგებლობას კისრულობს, რომ მისაწოდებელი საქონელი შეესაბამება ყველა მოქმედ თანამედროვე ტექნიკურ სტანდარტებს და ნორმებს, ხოლო რაოდენობა წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს.

3.2 მიმწოდებელი აცხადებს, რომ შესასყიდი საქონელი არის უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო და იღებს პასუხისმგებლობას მისი წარმოშობის კანონიერებაზე.

4. შესასყიდი ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

4.1. შესასყიდი ობიექტის მიწოდების ბოლო ვადაა 2017 წლის 16 ოქტომბრის ჩათვლით;

4.2. მიწოდების ადგილი - ქ. თბილისი, თვალჭრელიძის პირველი შესახვევი N7.

5. შესასყიდი ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესასყიდი ობიექტის მიღება ფორმდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით, რაც ასევე ადასტურებს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

5.2 თუ აღმოჩნდება, რომ შესყიდვის საგანი უხარისხო ან ნაკლოვანია, მიმწოდებელი უზრუნველყოფს ნაკლოვანი ან უხარისხო საქონლის შეცვლას.

5.3 საქონლის მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირს წარმოადგენს შპს „თბილსერვის ჯგუფი“-ს საწყობის თანამშრომლები.

6. ანგარიშსწორების წესი და პირობები

6.1. შესასყიდი ობიექტის ღირებულება დაიფარება არა უგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ;

6.2. ანაზღაურება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. "შემსყიდველი" ვალდებულია:

7.1.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის შესყიდვისას საქმის კურსში ჩააყენოს "მიმწოდებელი" ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;

7.1.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, აუნაზღაუროს "მიმწოდებელს" საქონლის ღირებულება;

7.1.3 აუნაზღაუროს მიმწოდებელს ის ზიანი, რაც გამოწვეულია მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით.

7.2 "შემსყიდველს" უფლება აქვს:

7.2.1. შეამოწმოს მიწოდებული საქონლის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან, ასევე განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა "მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

7.2.2 მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რაც გამოწვეულია მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით;

7.2.3 მოსთხოვოს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული, ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება;

7.3. "მიმწოდებელი" ვალდებულია:

7.3.1. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

7.3.2 მიაწოდოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების 1.1 მუხლში აღნიშნული შესყიდვის საგანი და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები საკუთრებაში.

7.3.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებისას საქმის კურსში ჩააყენოს "შემსყიდველი" ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;

7.3.4 აუნაზღაუროს შემსყიდველს ის ზიანი, რაც გამოწვეულია მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით.

7.4. "მიმწოდებელს" უფლება აქვს:

7.4.1 წარუდგინოს შემსყიდველს ფიზიკურად მიწოდებულ საქონელთან დაკავშირებული სრული დოკუმენტაცია: საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, სასაქონლო ზედდებული და მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელი მოეწერება მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონლის შემსყიდველის მიერ ხარისხობრივი, რაოდენობრივი შემოწმების და მოწონების შემდეგ და მოითხოვოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

7.4.2 მოითხოვოს, იმ ზიანის ანაზღაურება, რაც გამოწვეულია შემსყიდველის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით;

7.4.3 მოსთხოვოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული, ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება;

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.5 %-ის ოდენობით;

8.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური მოცულობა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება;

8.3 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

9. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

9.1. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია აწარმოოს მიწოდებული საქონლის მოცულობისა და ხარისხის ინსპექტირება;

9.2 ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების კონტროლს განახორციელებს შპს „თბილსერვის ჯგუფი"-ს ინსპექტირების ჯგუფი.
9.3. მიმწოდებლის შერჩევის, ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლისა და ზედამხედველობის განმახორციელებელი პირების ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტში არარსებობის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებას თან ერთვის.
9.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება "მიმწოდებელს" საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;

10. ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ;
10.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.
10.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

11.1. მხარეები უფლებამოსილნი არიან მოახდინონ ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა და ცვლილება შეიტანონ მოქმედ ხელშეკრულებაში;
11.2 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის ინიციატორმა მხარემ წერილობითი სახით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია.
11.3 დაუშვებელია ხელშეკრულებაში იმგვარი ცვლილების შეტანა, რომლითაც უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის ან იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ დებულებით" გათვალისწინებული შემთხვევებისა.

12. ფორსმაჟორი.

12.1 მხარეები არ აგებენ პასუხს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის, თუ ეს გამოწვეულია ფორსმაჟორული (სტიქიური და ტექნიკური კატასტროფები; ხანძარი; სამარი მოქმედებები; სამთავრობო გადაწყვეტილებები და სხვა) გარემოების დადგომის გამო და თუ ეს დაიწყო ან განვითარდა ხელშეკრულების დადების შემდეგ.
12.2 ფორსმაჟორული გარემოებების დროს მხარეები ამ გარემოების დასრულებამდე თავისუფლდებიან ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისაგან.
12.3 მხარე, რომელსაც წარმოექმნა ფორსმაჟორული გარემოება, მოვალეა ამის შესახებ 2 კალენდარული დღის ვადაში აცნობოს მეორე მხარეს ფორსმაჟორული მდგომარეობის შესაძლო ხანგრძლივობის და სავარაუდო შეწყვეტის დროის მითითებით.
12.4 თუ მხარემ მეორე მხარეს დროულად არ აცნობა შექმნილი ფორსმაჟორული გარემოების შესახებ, იგი მოვალეა შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისარი მოვალეობა.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1.ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელისმოწერის დღიდან და ძალაშია 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით;

14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1. წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას მხარეთა ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე;

14.2. თუ "შემსყიდველი" და "მიმწოდებელი" მოლაპარაკების დაწყებიდან 3 (სამი) დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ შეთანხმების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით;

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;

15.4 წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა არ იწვევს მთელი ხელშეკრულების ან მისი სხვა პუნქტების ბათილობას.

15.5 წინამდებარე ხელშეკრულება არ შეიცავს არანაირ სიტყვიერ დამატებას.

15.6 დანართები წარმოადგენენ ამ ხელშეკრულების შემადგენელ, განუყოფელ ნაწილს და მოქმედებენ მხოლოდ მასთან ერთად.

15.7 მხარეებს შორის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;

15.8. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

15.9 ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე. 1 ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, 1 ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს.

15.10 ყოველივე ზემოაღნიშნულის დასადასტურებლად, სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილმა ქვემოთ აღნიშნულმა პირებმა ხელი მოაწერეს წინამდებარე ხელშეკრულებას.

16. მხარეთა ხელმოწერები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
შპს „თბილსერვის ჯგუფი“	შპს „ორიენტი“
დირექტორი	დირექტორის მინდობილი პირი
ლ. ჯღარკავა	მ. გუმბერიძე
შპს „თბილსერვის ჯგუფი“	შპს „ორიენტი“
მის: ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი №67	მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. N34
საიდ. კოდი: 206267494	ტელ: 577 597 979
სს "ლიბერთი ბანკი"	საიდ. კოდი: 406104488;
ცენტრალური ფილიალი	სს „პროკრედიტ ბანკი“
კოდი: LBRTGE22	ბანკის კოდი: MIBGGE22
ა.ა. № GE90LB0113172770216000	ა.ა. GE20PC0133600100064859

დ ა ნ ა რ თ ი N1

წინამდებარე დანართი გამოიყენება მხოლოდ ჩვენს მიერ 2017 წლის 17 აგვისტოს დადებულ ხელშეკრულებასთან (სარეგისტრაციო 10-338) ერთად.

N	საქონლის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ფასი
1	12 050 01 ზეთის ფილტრი	1	200	200
2	24 083 03 ჰაერის ფილტრი	1	230	235
3	F 115 070 კაბელი	1	62	62
4	F-115 071 კაბელი	1	60	63
5	F-115 086 სამუხრუჭე კაბელი	1	20	20
6	ძრავის კაბელი კომპ.	1	370	370
7	F-115 091 კაბელი კომპ.	1	210	210
8	F-115 115 კაბელი კომპ. 1 ACU	1	48	48
9	F-115 093 კაბელი კომპ. 2 ACU	1	48	48
10	F-115 094 სტარტერის კაბელი კომპ.	1	48	48
11	F-115 095 = რეგულატორის კაბელი კომპ.	1	33	33
12	F-115 096 =რეგულატ. მუხრუჭის კაბელი კომპ.	1	47	47
13	F-230 637 კაბელის ბრეკეტი	1	72	72
14	DR-02561 მჭრელი სისტემის კაბელი	1	22	22
15	FCV-0002 = კაბელის ტროსი L=1050	1	51	51
16	FCV-0041 =კაბელის ტროსი L-1300	1	54	54
17	FCV-0044 =კაბელის ტროსი L=1350	1	52	52
18	FCV-0046 = კაბელის ტროსი L=1530	1	54	54
19	Laski-ს საჭრელი კბილები	12	221	2652
	საერთო ღირებულება: 4341 (ოთხი ათას სამას ორმოცდაერთი) ლარი.			

მხარეთა ხელმოწერები:

„შემსყიდველი“
შპს „თბილსერვის ჯგუფი“
დირექტორი
ლ. ჯღარბაძე

„მიმწოდებელი“
შპს „ორიენტი“
დირექტორის მინდობილი პირი
მ. გუმბერიძე

ხელწერილი
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი. 17 აგვისტო 2017 წელი.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ შპს "თბილსერვის ჯგუფი"-ს მიერ ხის ძირის მომჭრელის სათადარიგო ნაწილების სახელმწიფო შესყიდვასთან დაკავშირებით 2017 წლის 17 აგვისტოს შპს „ორიენტთან" ხელშეკრულები N 10-338 გაფორმებით, ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს 2005 წლის 20 აპრილის კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შესყიდვაში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

შპს „თბილსერვის ჯგუფის" დირექტორი

ლევან ჯღარკავა –

შპს „თბილსერვის ჯგუფის" შესყიდვების სამსახურის უფროსი

გერონტი დარსალია -

შპს "თბილსერვის ჯგუფის" სპეციალური და მოვლითი ჭრების დაგეგმვა-განხორციელების განყოფილების სპეციალისტი

ზვიად ხიზანეიშვილი -

01/01/2017

№ 59

მინდობილობა

მე, შპს ორიენტი–ს (ს.კ 406104488) დირექტორი შორენა კიწმარიშვილი (პ/ნ 37001001408) ვანიჭებ უფლებამოსილებას ამავე კომპანიის მენეჯერს მარიტა გუმბერიძეს (პირადი № 01010017995) მასზედ, რომ მას უფლება აქვს გააფორმოს ხელშეკრულება, მიღება-ჩაბარების აქტი, ხელი მოაწეროს ნებისმიერ დოკუმენტებს შეხედულებისამებრ და გამოიყენოს კომპანიის ბეჭედი.

მინდობილობა ძალაშია 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

შპს ორიენტის დირექტორი

შორენა კიწმარიშვილი

ORIENTI LTD * საქართველო * 406104488 GEORGIA * საქართველო